საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი

აბანოთუბანი

გულოს (ყოფ. ბებუთას, მელიქის, გარნიზონის) აბანო დასავლეთი მართკუთხა მინაშენი ერეკლეს აბანოსკენ



ხედი ნარიყალადან, 2018წ.

შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
თებერვალი
2022

საკვლევი ობიექტის აღწერა

ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში (კრწანისის რაიონი) და მოიცავს გრიშაშვილის ქუჩა №3-ში მდებარე **„გულოს აბანოს“ (ყოფ. „ბებუთას“, „მელიქის“)** დასავლეთ მომცრო მართკუთხა მინაშენს, აბანოს ქუჩაზე №2-ში მდებარე **„ერეკლეს აბანოსკენ“**. იგი **შ პ ს „ბახმაროს“** საკადასტრო ნაკვეთშია. **კვლევის მიზანია ამ მოცულობის სამშენებლო ფენების და მისი არქიტექტურული ღირებულების დადგენა „გულოს აბანოსთან“ მიმართებაში და რეკომენდაციების შემუშავება ამ მოცულობის ზედა ნაწილის ადაპტაციისათვის ახალი ფუნქციური მოთხოვნის შესაბამისად.**



აეროფოტო 2020წ.



ტოპოგეგმა 2000წ.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა, 2007წ.

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო
- ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვარი

საპროექტო ობიექტი ამჟამად უსტატუსოა

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

აბანოს ქუჩაზე – საცხოვრებელი სახლები: №№25,29,31; .აბანოები: „ერეკლეს აბანო“ „ჯრელი აბანო“, „მეითარის აბანო“, „სამეფო აბანო“;

გრიშაშვილის ქუჩაზე – საცხოვრებელი სახლები: №№ 8/1 და 10/3 და მირზოევის აბანო №11.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

აბანო „ბახმარო“, („ბებუთას“, გარნიზონის აბანო) 2007 წლამდე ირიცხებოდა ძეგლად, **2006 წლის 30 მარტის № 3/133 ბრძანების დანართი**

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

უბნის და ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

ეს ადგილი ქალაქის უძველესი უბანია. თბილისი ამ მიდამოებში ჩაისახა მეტეხის პლატოს მოპირდაპირე მხარეს, იქ სადაც **წავკისის წყალი** უერთდებოდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს. შუა საუკუნეებში წავკისის ღრმა ხევის გასწვრივ შემოზღუდული იყო თბილისის **(ნარიყალას)** ქვედა გალავანი. გალავნით შემოზღუდულ თბილისის ამ ნაწილს, **XVIIIს-ში „ციხე დაბალი“** ეწოდებოდა. წავკისის ხევს კი – **დაბახანა**. აქ, ხევის მარჯვენა ნაპირზე განფენილი იყო გოგირდიანი აბანოების უბანი – საკუთრივ **„ტფილისი“**. ამ უბანს მთლიანად **სეიდაბადსაც** უწოდებდნენ, XVIIს-ში როსტომ მეფის დროს აქ გადმოსახლებული სპარსელების – სეიდების გამო. XIXს-დან ეს მიდამოები **ხარფუხად** მოიხსენიება.

ამ უბნის ურბანულ განვითარებას შეგვიძლია თვალი გავადევნოთ XVIIIს-ის დასაწყისიდან. **ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის გეგმაზე დაბალი ციხის უბანი მჭიდროდაა განაშენიანებული. დასახლებულია მოპირდაპირე სეიდაბადიც.** მტკვრის პირზე კი ბაღებია. ამ უბნის საინტერესო ლანდშაფტთან შეზრდილი ურბანული სტრუქტურები უკვე XVIIIს-დან იზიდავდა ევროპელ და რუს მხატვრებს.

XIXს-ის დასაწყისამდე „ქვედა გალავნის“ დამრეც ფერდობებზე ბანიანი სახლები იყო შეფენილი. შემდეგ მოშალეს ნარიყალას ქვედა გალავანი და ამავე დროიდან (XIXს-ის 30-იანი წწ.), ქალაქის მმართველობის მოთხოვნით უკვე აუცილებელი გახდა სახლების მშენებლობისთვის პროექტების შედგენა. XIXს-ის თბილისის გეგმებზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ყალიბდებოდა უბნის ქუჩების და განაშენიანების სტრუქტურა.

ამ უბნის ფუნქციურ დატვირთვას ძირითადად განაპირობებდა **გოგირდის აბანოთა სიმრავლე** და ხელოსანთა რიგები. უბნის სოციალური სტრუქტურა და ფუნქციური დატვირთვა აქ პრაქტიკულად უცვლელია XIXს-ის ბოლომდე და სოციალური დაკვეთა, გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად, აქაც გარკვეულად განაპირობებდა ქუჩათა სტრუქტურას და ნაგებობათა გარეგან სახეს, რაც აისახებოდა ნაგებობათა ხასიათსა და ხარისხზე.

XXს-ის დასაწყისში დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბების ერთი ეტაპი. XXს-ის შუა პერიოდში დაიწყო მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რაც გაგრძელდა 80-იან წწ-ში. ამავე დროიდან ამ მიკროუბანს **აბანოთუბანი** ეწოდება.

XXს-ის II ნახ-ში მტკვრის სანაპიროების და მიმდებარე უბნების მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურული ცვლილებები ამ მონაკვეთსაც შეეხო. მოხდა წვრილი ურბანული სტრუქტურების ერთგვარი „გამოხშირვა“ და ფართო სივრცითი არეების შექმნა. აბანოთუბნის არქიტექტურული ხედი გაიხსნა და გაშლილი პლანით წარმოჩინდა.

1980-იან წწ-ში რესტავრაცია ჩაუტარდა აბანოებსა და საცხოვრებელ სახლებს. მოიხსნა ზედმეტი მინაშენები და აბანოთუბანმა თავდაპირველს მიახლოებული სახე დაიბრუნა.

2007-2012 წწ-ში მოხდა უბნის რესტავრაცია, გაიხსნა წავკისის ხევი და უბანმა დღევანდელი სახე შეიძინა.

ისტორიული ცნობები – დოკუმენტურად ამ ადგილას აბანოები გამოსახულია XVIIIს-ის II ნახევრის ისტორიულ გეგმებსა და ჩანახატებზე. თუმცა ზოგადად ამ უბანში აბანოთა არსებობა დადასტურებულია უძველესი დროიდან. ფეოდალურ ხანაში აბანოები სამეფო ოჯახის წევრებს, დიდებულებს, ეკლესიას და მსვილ ვაჭრებს ეკუთვნოდა. თუმცა არსებობდა აბანოები სადაც მოქალაქეებიც დადიოდნენ.

XVIIს-ში წავკისისწყლის ორთავე ნაპირზე არსებობდა აბანოები. ეს აბანოები აღნიშნულია თბილისის **1782 და 1785 წლის გეგმებზე, როგორც მინერალური წყლის აბანოები. 1800 წლის გეგმაზე აბანო წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ხიდის გვერდით აღნიშნულია როგორც ერეკლე მეფს აბანო №42, ხოლო მის ზემოთ, იმ ადგილზე სადაც ჩვენი შესასწავლი ობიექტია – „ბებუთას აბანო“ №43.**

საქართველოს ისტორიულ არქივებში ამ აბანოების თავდაპირველი პროექტი დაცული არ არის.

თბილისის 1844 წლის გეგმაზე ზემოთ აღნიშნული I აბანო უკვე დასახელებულია როგორც **სიონის ეკლესიის აბანო,** ხოლო II აბანო – **თავად მელიქოვის (მელიქის) აბანო.** მათ შორის უკვე ჩანს თავისუფალი ადგილი.

კავკასიის კალენდრის თანდართულ **თბილისის 1850წ. გეგმაზეც** ხევის **მარჯვ. ნაპირზე** აღნიშნულია **სიონის** აბანო №60. მამისა ბერძნიშვილის მიხედვით მას **თბილელის ანუ თბილისის ეპისკოპოსის და ერეკლეს აბანოსაც** უწოდებდნენ. მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIIIს-ში, თბ., 1965, გვ. 40.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ – 1921წ. ყველა აბანო სახელმწიფო სარგებლობაში გადავიდა. 1924 წლის გეგმაზე კი, ხევის მარჯვ. ნაპირზე აღნიშნულია, **ყოფილი ირაკლის** და **ყოფ. ბებუთას აბანო.** მამისა ბერძნიშვილის მიხედვით აქ მამაკაცთა საერთო აბანო ყოფილა.

გასაბჭოების შემდეგ ერთ ხანს **ყოფ. ბებუთას, შემდეგ მელიქის აბანოს გარნიზონის აბანო** ეწოდებოდა.

ბოლოხანს ამ აბანოს **(ყოფ. ბებუთას, მელიქის, გარნიზონის) „გულოს აბანო“** დაერქვა.

1970-80-იან წლებში მოხდა აქ არსებული აბანოების რეკონსტრუქცია და ადაპტაცია (არქიტ. შ. ყავლაშვილის და ან. სოლომნიშვილის ჯგუფები). ძირითადად მოხდა ფასადების რეაბილიტაცია. აბანოებს მოაკლდა ან დაემატა ახალი მოცულობები, რეაბილიტაცია ჩატარდა 2000-იან წლებშიც და მიიღო ის კონფიგურაცია რაც დღეს აქვს.

- *ლოკალური უბნის ქუჩების განვითარება*

აბანოს ქუჩა – ეს იყო გზა ციხის ქვედა გალავნის გასწვრივ. XIX ს-ის დასაწყისიდან უკვე აბანოს ქუჩა ჰქვია;

იოსებ გრიშაშვილის ქუჩა – ეწოდა 1948 წ-დან. ჩაისახა XVIII ს-ის დასაწყისში და მიჰყვებოდა აქ არსებულ გზას განჯისკენ – 1735 წ. გეგმა. წლების განმავლობაში ეწოდებოდა განჯის, Новая, აბანოს, სურბ-სარქისის, ბოლნისის, და ტაგი-ზადეს სახელი;

აბანოების სტრუქტურის ჩამოყალიბება







დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან, XIX ს-ის დასაწყისი



დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან, XIX ს-ის დასაწყისი, მხატვარი შაკოტე

აბანოები ძირითადად წავკისის ხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. ერთადერთი აბანო (ორბელიანების ე.წ. „ჭრელი“) მარცხენა ნაპირზე ნარიყალას ციხის ქვედა გალავნის კედელში იყო ჩართული. ეს ჩანს თბილისის 1785წ. გეგმაზე.

აბანოთა პირველი გრაფიკული გამოსახულებები XIXს-ის დასაწყისისაა. ამ ჩანახატებზე კარგად გაირჩევა, რომ აბანოთა ნახევარსფერული გუმბათები გარემოცულია ბანურგადახურვიანი მართკუთხა მოცულობებით, რომელთაც წინ ღია გალერეები დაუყვება. ზუსტად ამგვარი არქიტექტურული სახე აქვს აბანოებს მარჯვენა სანაპიროზე რომლებიც ქუჩის პირზე ღია გალერეით გამოდის, ბანზე კი გუმბათებია ამოზრდილი.



დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან, მხატვ. ნ. ჩერნეცოვი, გრაფიკა 1831წ

მომდევნო ჩანახატი ჩერნეცოვს ეკუთვნის, (1831წ.) სადაც დაახლოვებით იგივე რაკურსიდან გამოსახულია აბანოების უბანი და **ერეკლეს** და **ბებუთას** აბანო.



დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან, მხატვ. ბ. ბაბარინი 1850წ

1850-იანი წლების გაგარინისეულ ჩანახატზე აბანოთუბანი უკვე სახეცვლილია. ბანურგადახურვიან საცხოვრებელი სახლების ადგილს ორქანობიანი ნაგებობები იკავებს, აბანოთა სტრუქტურა კი არ შეცვლილა, თუმცა მათი არქიტექტურა უფრო მოწესრიგებულია.



დაბახანა, 1860-70-იანი წწ.



დაბახანა, 1890-იანი წწ.

1860-70-იანი წლების ფოტოზე, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო აშენებული ჭრელი აბანოს ჭვირულ გუმბათებიანი პორტალი, ვხედავთ, **მელიქის (ყოფ. ბებუთას) აბანოს** გუმბათების მომცველ ბანურგადახურვიან სტრუქტურს, ხოლო **„ერეკლეს აბანოს“** ზედა ნაწილი იმ დროისთვის მონგრეულია.

მომდევნო ფოტოზე (XIXს-ის დასასრული) უკვე აშენებულია **„ჭრელი აბანო“** და **„ერეკლეს აბანოც“** აღდგენილია თავის გადახურვიანად.



აბანოები, 1880-იანი წწ



აბანოები, 1985წ

1880-იანი წლების ფოტოზე ჩანს **მელიქის (გარნიზონის)** აბანოს დასავლეთი ფასადები. ჩანს დღევანდელი საპროექტო ადგილიც, თუმცა ვხედავთ მხოლოდ მის უკანა კედელს მთელი სიმაღლით და დღევანდელი მოცულობა ჯერ არ არის აშენებული. აქ აბანოს დასავლეთ კედელზე ჩანს კონტრფორსი, მის გვერდებზე კი, კედელში ორი მართკუთხა სარკმელია დატანილი. სარკმლებია ნაშვერ გრძივ კედელზეც, „ერეკლეს აბანოს“ მხარეს.

1985 წლის ფოტოზე იგივე ადგილია აღბეჭდილი სხვა რაკურსით აბანოების რეაბილიტაციის შემდეგ. აქ უკვე აბანოს აგურის წყობის კედლები ყრუა, კონტრფორსის და სარკმლების გარეშე. წინა მხარე ამოივსო მიწით, დაიგო ასფალტი შიდა ეზოს დონეზე, მოიხსნა დასავლეთი გრძივი კედლის ზედა 1მ. სიმაღლის მონაკვეთი და მის მოკლე კედელში დაიტანეს მართკუთხა კარი.

საპროექტო ობიექტი



გულოს აბანო, ხედი დასავლეთიდან, ნარიყალადან, 2018წ.



აეროფოტო, 2020წ.



ხედი საპროექტო ობიექტისკენ ერეკლეს აბანოს მხრიდან, 2021წ



ხედი საპროექტო ობიექტისკენ ერეკლეს აბანოს მხრიდან, 2022წ





ხედი საპროექტო ობიექტისკენ სამხრეთისკენ 2021წ



ცისტერნა, 2021წ



ხედი სამხრეთ-აღმოასავლეთით, 2021წ

საპროექტო ობიექტი „გულოს აბანოს“ დასავლეთი მინაშენის ზედა მოცულობაა და აგებულია მოგვიანებით აგურის ცალფა წყობის კედლებით. მის ინტერიერში დგას ცხელი წყლის ცისტერნა. დასავლეთით, ქვევით, ასევე გვიან აგებული წაგრძელებული მოცულობაა აგურის წყობით.



ორტესებურ კოჭებიანი ოთახი



ხედი ჩრდილოეთით, ღიობისკენ, 2021



ხედი აღმოსავლეთით, 1921წ.

„გულოს“ აბანოს ფასადზე, ზედა ნაწილში შემორჩენილია აგურის წყობა და ასევე აგურის განსხვავებული წყობის ხოლი, შესრულებული 1980-იან წლების ადაპტაციისას. ეს კედელი დაზიანებულია. ამ კედლის ქვედა ნაწილი მოგვიანებით გამაგრებულია ბეტონით.

სამხრეთი მინაშენის ანუ საპროექტო მოცულობის კედლებიც ადაპტირებული იყო 1980-იან წლებში, მოგვიანებით კი, გადაკეთებულია კედლებიანად. აქ მის ზედა ნაწილში მოეწყო მართკუთხა მოცულობა ცხელი წყლის ცისტერნისთვის.

ქვემოთ ორტესებური კოჭებით გადახურული წაგრძელებული სათავსოა მართკუთხა შესასვლელით და ზემოთ დღევანდელი საპროექტო მოცულობა, ასევე მართკუთხა კარით ჩრდილოეთ მოკლე გვერდზე და აგურის ყრუ დასავლეთი კედლით აბანოს ქუჩისკენ.



„ბულოს აბანო“, ხედი სამხრეთისკენ, 2022წ.



„ბულოს აბანო“, ხედი ბრიშაშვილის ქუჩიდან, 2022წ.



„ბულოს აბანოს“ გეგმა



„გულოს აბანო“, დარბაზი შუა გუმბათის ქვეშ, 2022წ.



„გულოს აბანო“, აბანოს დარბაზი ჩრდილოეთ ფლანგზე, 2022წ.



„გულოს აბანო“, აბანოს დარბაზი სამხრეთ ფლანგზე, 2022წ.

„გულოს აბანოს“ ძირითადი მახასიათებლები შენარჩუნებულია, ხოლო ინტეტრიერი ადაპტირებულია. იგი ამჟამად არ არის აღრიცხული არქიტექტურულ ძეგლად, თუმცა, ერთ-ერთი უძველესია აბანოთუბნის აბანოებს შორის და მისი აუთენტური სტრუქტურები შენარჩუნება აუცილებელია.

დასკვნა და რეკომენდაციები:

ამ კვლევის მიზანია „გულოს აბანოს“ დასავლეთი მინაშენის ზედა მოცულობის სივრცობრივი და მხატვრულ-არქიტექტურული სახის დადგენა.

ეს აუცილებელია რათა გაირკვეს „გულოს აბანოს“ დასავლეთი მინაშენის ღირებული და არაღირებული მონაკვეთები და შემუშავდეს რეკომენდაციები სავარაუდო ცვლილებებისათვის აბანოს ჰომოგენურობის შენარჩუნებით, ამ მონაკვეთის ადაპტაციისთვის და ძველ გეგმარებით და სტრუქტურულ საფუძველზე ახალი ფუნქციის შესაძენად.

ამგვარად, საარქივო ფოტოებისა და ადგილზე კვლევის შედეგად დადგინდა:

აბანოს ავთენტური სტრუქტურებია:

– აბანოების გეგმარებითი და მოცულობითი სტრუქტურა და ორტესებური კოჭებიანი გადახურვა მინაშენის მეორე დონის მართკუთხა სათავსოში;

– 1980-იან წლებში მოხდა აბანოების საფასადო კედლების და გადახურვების რეაბილიტაცია, აბანოების ზოგადი გეგმარებითი სტრუქტურის დაცვით და საფასადო კედლების წყობის ხასიათის ადაპტაციით;

გვიანდელი დანამატებია:

– ახლად არის აგებული მინაშენის მოცულობის ზედა, მესამე დონის მართკუთხა სათავსო, აგურის ცალფა წყობით. გვიანდელია ასევე ამ მინაშენის დასავლეთით, ქვევით განიერ თაროსავით წამოწეული აგურის წყობის მოგრძო კედელი და ირგვლივ ქვედა მონაკვეთების აგურის წყობის დაზიანებული კედლების ბეტონის საყრდენი ფენები;

– იმავე გადაკეთების დროს მინაშენის ამ ზედა მოცულობაში დაიდგა ცხელი წყლის შესაგროვებელი ცისტერნა და აბანოების ამ მონაკვეთში შეცვლილია ასევე წყალგაყვანილობის და გათბობის მილები;

რეკომენდაციები:

– აუცილებელია ნაგებობების აუთენტური სტრუქტურების და მათი მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტების შენარჩუნება;

– აღსადგენია 1980-იან წლებში ადაპტირებული ქართული აგურის წყობის კედელი თავისი აუთენტური წყობით;

– აუცილებლად არის შესანარჩუნებელი ორტესებურ კოჭებიანი გადახურვა;

– ამგვარად, აბანოს მინაშენის ზედა ნაწილი და ქვედა დასავლეთი კედელი გვიანდელი დანამატია და მათი დაშლა და რეკონსტრუქცია ახალი მოცულობით დასაშვები უნდა იყოს. ასევე დასაშვებია ამ საპროექტო მოცულობაში ინტერიერის დაპროექტება აბანოს ფუნქციისთვის სათანადო გეგმარებითი სტრუქტურით. ოღონდ, ახალი მოცულობის ფასადების დაპროექტებისას კვლავ გასათვალისწინებელია ამ აბანოთა ფასადების მხატვრულ-არქიტექტურული სახე და ხასიათი ისევე, როგორც ეს მოხდა ირგვლივ მდებარე აბანოების ბოლო ადაპტაციების დროს 1980-იან და 2000-იან წლებში;

– ასევე ახალი მოცულობების დამატების და ადაპტაციის შემთხვევაში აუცილებელია დეტალური პროექტი, როგორც არქიტექტურული ნაწილის ასევე მხატვრული სახის ესკიზების წარმოდგენით აბანოების ჭრილებსა და განშლებზე;

– წარმოსადგენია ფოტომონტაჟები აბანოთა თვალსაწიერზე და ზედხედები აბანოების ჩამოყალიბებულ სტრუქტურაში ცვლილებების სათანადოდ შესაფასებლად.

– მნიშვნელოვანია პროექტირებაში არქიტექტორ-რესტავრატორის მონაწილეობა.

- **პროექტში სასურველია იყოს დასაბუთება არსებული და ახლად დასაპროექტებელი მოცულობების ფუნქციის, საინჟინრო აღჭურვის და საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის შესახებ;**

- **აუცილებელია სამუშაოების ჩატარების შემდეგ მიმდებარე ტერიტორიის კეთლმოწყობა და მშენებლობის მაღალი ხარისხი;**

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
13. 02. 2022